ორი ინტერვიუ სამი სურათით

დღეს ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით თბილისის “დინამოს” სასტარტო მატჩს მოსკოვის “ლოკომოტივთან” და მკითხველს ვთავაზობთ განვლილი ორთაბრძოლის რამდენიმე ფოტოსურათს და ორ მოკლე ინტერვიუს.

მართლაც, ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი თბილისელთა წარმატებაში მოსკოველ ლოკომოტიველებთან შეხვედრის წინ. ამ რწმენას რამდენიმე არგუმენტიც ამაგრებდა: ჩემპიონი შარშანდელი გათამაშების ერთ–ერთი აუტსაიდერის წინააღმდეგ, დინამოელთა აშკარად დადებითი ბალანსი საკავშირო გათამაშებებში “ლოკომოტივთან” (25:14, 16 ფრე), თბილისელთა ტრადიციული წარმატება სასტარტო მატჩებში (40 ჩემპიონატში მხოლოდ 5 დამარცხება) და, ბოლოს, გასათვალისწინებელი იყო ქართველ ფეხბურთელთა 13–მატჩიან გამარჯვებათა სერიაც ტუნისის ტურნესა და საკავშირო თასის გათამაშებაში…

ამიტომ იყო, რომ საგოლე მომენტების მოლოდინში ფოტორეპორტიორთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი სწორედ “ლოკომოტივის” კარის სიახლოვეს ჩასაფრდა. მაგრამ ბურთი, მოგეხსენებათ, მაინც მრგვალია და მეტოქეებმა – გუნდის კაპიტანმა ავერიანოვმა (ზემო სურათზე იგი მანუჩარ მაჩაიძესთან ერთად აღმართავს 42–ე გათამაშების ალამს), კუზნეცოვმა, პანტელეევმა, სუსინმა და მათმა პარტნიორებმა არაერთი მწვავე შეტევა მიიტანეს დინამოელთა კარზე, რომელთა მოგერიება მოუხდათ ჩვენს დაცვასა და მეკარეს.

ეს კი შაბათის მატჩის ერთ–ერთი საუკეთესო მოთამაშე გოჩა მაჩაიძეა (სურათზე მარცხნივ), რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ე. ხუცურაულმა მატჩის წინ გადაიღო. უნდა ითქვას, რომ უმცროსი მაჩაიძე ადრეც გამოირჩეოდა აგრესიულობით, მაგრამ ამ დღეს იგი განსაკუთრებით აქტიურად იბრძოდა გოლის გატანისთვის. შესაძლოა იმიტომაც, რომ ამჯერად დინამოელთა წინა ხაზი ერთობ “შეთხელებულად” გამოიყურებოდა – 2 წმინდა ფორვარდი. ასეა თუ ისე, გ. მაჩაიძისა და მისი პარტნიორების მონდომებამ სასურველი შედეგი გამოიღო: ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის შენგელიას თავურმა დარტყმამ მატჩის მიწურულში გამარჯვება მოუტანა ჩემპიონს (მესამე სურათი).

თამაშის შემდეგ ვესაუბრეთ თბილისის მატჩის ინსპექტორს – საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მწვრთნელს ვადიმ კუბლიცკის. აი, რა გვითხრა მან განვლილი ორთაბრძოლის შესახებ:

– ამ მატჩში მართლაც დიდ როლი ითამაშა სასტარტო მღელვარებამ, რომელიც საკმაოდ დაეტყოთ სტუმრებსა და მასპინძლებსაც. თამაში ერთობ ნერვიული და დაძაბული იყო. ცხადია, ლოკომოტიველებმა იცოდნენ, რომ “დინამოს” ტექნიკური უპირატესობა ექნებოდა, ამასთან მას, როგორც იტყვიან, საკუთარი კედლებიც ეხმარებოდა. ამიტომ საჭირო იყო განსაკუთრებული ყურადღებით და მონდომებით ეთამაშა ყველა რგოლში. “ლოკომოტივმა” შეასრულა ამოცანა – კარგად მოაგვარა დაცვითი საქმეები, მჭიდროდ აიყვანა დინამოელთა მთავარი, საკვანძო მოთამაშეები და საფუძვლიანად გადაკეტა საკუთარი საჯარიმოს მისადგომები, თუმცა, საბოლოოდ

მაინც დამარცხდა. ჩემპიონმა აქტივში პირველი 2 ქულა ჩაიწერა – მაღალი ტექნიკისა და მატჩის ენდშპილში იშვიათი მონდომების ფასად.

მეორე ინტერვიუ "ლოკომოტივის" უფროსი მწვრთნელის, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელის ვიქტორ მარიენკოსაგან ავიღეთ. თუმცა, დამარცხებული გუნდის მწვრთნელებთან ჟურნალისტები დელიკატური მოსაზრებების გამო, როგორც წესი, გაურბიან საუბარს, მოსკოველი ფეხბურთელის ხელმძღვანელმა სიამოვნებით დააკმაყოფილა ჩვენი ცნობისმოყვარეობა.

– ეჭვი არ მეპარება, რომ თბილისის "დინამო", რომელიც მაღალი კლასის ოსტატებითაა დაკომპლექტებული და თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს, წლეულსაც ჩემპიონობის №1 პრეტენდენტია. თუმცა მის შემადგენლობაში ამჯერადაც ვერ ვიხილეთ გუნდის ერთ–ერთი ლიდერი დავით ყიფიანი, ჩემპიონი საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენს – ფეხბურთელები გამოირჩევიან მაღალი ტექნიკით, სისწრაფით, ურთიერთდაზღვევით, დროულად გადიან გადაცემებზე, იხსნებიან ბურთის მისაღებად. ამ მატჩზე დინამოელები, ჩემი აზრით, ცოტა არ იყოს, თვითდაჯერებული გამოვიდნენ და კინაღამ დაისაჯნენ კიდეც – მხოლოდ ბოლო წუთებმა მოუტანა მათ გამარჯვება. რაც შეხება ჩვენს გუნდს, იგი ამჟამად მხოლოდ საბოლოო დაკომპლექტების სტადიაშია. თვითონ განსაჯეთ – "ლოკომოტივის" ძირითად შემადგენლობაში დღეს 5 ახალი მოთამაშე იყო. ასეა თუ ისე, სასტარტო თამაშით, მოუხედავად დამარცხებისა, მაინც კმაყოფილი ვართ!

ო. ოთარაშვილი.

"ლელო", 27 მარტი, 1979 წ.